ზურაბ კიკნაძე

თასი, დიოგენე და შვიდი ბრძენი

I

დიოგენე ლაერტელის წიგნში „გამოჩენილ ფილოსოფოსთა ცხოვრების, მოძღვრებათა და გამონათქვამთა შესახებ“ ვკითხულობთ:

> „როცა პლატონი იდეების შესახებ მსჯელობდა და სახელს ურჩევდა *მაგიდობას* (*ტრაპეძოტეს*) და *თასობას* (*კათოტეს*), დიოგენმა თქვა: მე, პლატონ, მაგიდას და თასს კი ვხედავ, მაგრამ მაგიდობას და თასობას ვერა. პლატონმა კი: ასეა, მაგიდისა და თასის დასანახად თვალები გაქვს, მაგრამ მაგიდობისა და თასობის სახილველად გონება არ გაქვს“ [*დიოგენე*: 230].

პლატონის მოსაუბრე ეს დიოგენი ის სახელგანთქმული დიოგენია, რომელმაც იმ ერთი ცნობილი ინციდენტის შემდეგ, რომელიც ასევე დიოგენე ლაერტელს აქვს მოთხრობილი ამავე წიგნში, არათუ თასობის, არამედ თავად თასის ხილვაც აღუკვეთა თავს. ბავშვის დანახვაზე, რომელიც პეშვით სვამდა წყალს, დიოგენმა მოისროლა თასი, რათა აღარ ეხილა იგი და თასობაც მას გადააყოლა. ამ ერთი უკანასკნელი და კიდევ სხვა ბევრი საგნის ამოღებით, ერთადერთი კასრის ამარა დარჩენილმა, საგრძნობლად გააღარიბა ყოფა და, მასთან ერთად, შესაბამისი იდეათა სამყარო.

ამ დიალოგიდან და დიოგენის ცნობილი ინციდენტიდან – მათი დაკავშირების შედეგად ის აზრი უნდა გამოვიტანოთ, რომ *თასობის* უარყოფას აუცილებლობით თავად თასის, როგორც

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.
ძირითადი ნაშრომები: შუამდინარული მითოლოგია; ქართული მითოლოგია I, ჯვარი და საყმო; ძველი აღთქმის წუთისოფელი; ხუთწიგნეულის თარგმანება.
ინტერესთა სფერო: ქართული ფოლკლორი, მწერლობა, მითოლოგია; ქრისტიანული თეოლოგია; ძველი აღთქმა; ასირიოლოგია, სემიტოლოგია.

ნივთის, უარყოფა მოსდევს. თუ ნივთის საზრისი უცნობია, ნივთიც კარგავს აქტუალობას და ზედმეტი ხდება. ამავე დროს, პლატონი თავისი პასუხით (არა აქვს მნიშვნელობა ნამდვილად მან წარმოთქვა ეს თუ მიაწერეს) ადამიანის ერთგვარ განსაზღვრებასაც იძლევა: ადამიანი გონიერი არსებაა, რომელსაც იდეების სამყაროს წვდომის უნარი აქვს. დიოგენის ყოველი მცდელობა კი მიმართულია იქითკენ, რომ უარყოს თავის თავში ადამიანობა, ადამიანის ის სახე, რომელიც მის კულტურაში ჩამოყალიბდა. დიოგენი აარსებს ახალი ადამიანის სახეს „ფასეულობათა გადაფასებით“, რომელიც არ სცნობს ნივთებს, ზედმეტად მიაჩნია ისინი. და, კერძოდ, ამ ნივთს – თასს, გარკვეული დანიშნულების მქონე, მ. ჰაიდეგერის ტერმინოლოგიით [ჰაიდეგერი] ხელსაწყოს (Zeuge) მისი ხელიდან წასულს, ბუნების ქმნილება შეენაცვლა. თუმცა პეშვი – „ერთმანეთს მიდებული ორივე ხელის მტევანი, ჭურჭლის ფორმისებურად მოხრილი, რომ შიგ რაიმე ჩაიდოს ან ჩაისხას“ [*ქებულ VI*:178] – არ ჩაითვლება არც ლიტონ ნივთად, არც სრულყოფილ ხელსაწყოდ, ის მაინც ადამიანის ქმნილებაა. მაგრამ პეშვს, ადამიანის ქმნილებას, დამოუკიდებელი არსებობა არა აქვს, იგი, როგორც ადამიანის ნაწილი, რომელიც პერიოდულად იქმნება და ქრება, მოკლებულია ნივთობას, რომ არტეფაქტად მივიჩნიოთ.

შენიშვნა 1.

ბუნებრივი წყაროდან წყურვილის მოსაკლავად ადამიანისთვის პეშვიც საკმარისია. მაგრამ თასის, როგორც ყოველი ჭურჭლის, აუცილებლობა ჩნდება მას შემდეგ, უფრო სწორად კი, იმასთან ერთად, რაც მის ყოფაში შემოდის კულტურის პროდუქტი, სასმელი (ღვინო, ლუდი), რომელიც ჩასაყენებლად მუდმივ ჭურჭელს და ასევე მისი შესმის მუდმივ ხელსაწყოს, როგორიც არის თასი, საჭიროებს. თავის გენეზისში თასი არა მხოლოდ ყოფითი ნივთია, არამედ საკულტოც, რაც თვალსაჩინოა თუნდაც ერთი კულტურის ფარგლებში [*კიკნაძე*:88-95].

შენიშვნა 2.

პეშვს, თავისი კონფიგურაციით და დანიშნულებით თასის არქეტიპს, თუ საკულტო ფენომენად ვერ მივიჩნევთ, მის ერთგვარ საკრალურ სტატუსს ვერ უარვყობთ, თუ გავითვალისწინებთ მათხოვრობის მეტაფიზიკურ საზრისს ძველ კულტურებში. გაწვდილი პეშვი დღემდე რჩება რელიგიურ და ყოფით პრაქტიკაში წყალობის გამოთხოვის ერთადერთ ნიშნად.

თუ დიოგენე კაცობრიობის უშორეს წარსულამდე ანუ იმ საწყისამდე დაეშვა, როცა პეშვიდან ხელსაწყო თასი წარმოშობილიყო ჯერ კიდევ არ იყო, არსებობს ტექსტი, სადაც პეშვიც არ არის გამოყენებული, თუმცა მოსალოდნელი იყო. თუ დიოგენე რამოდენიმე ხნის შემდეგ ვინმეს წაბაძვით უარს იტყოდა ხელის მტევნების ამ სპონტანურ მოძრაობაზეც, რომელიც

ქმნის პეშვს (როგორც პეშვმა თასის ფორმა შექმნა), ეს, ცხადია, არ იქნებოდა ჩადენილი იმ მოტივით, როგორც ,,მსაჯულთა წიგნში“ ჩაიდინეს მეომრებმა.

> ,,ადგა დილით იერობაალი, იგივე გედეონი, აგრეთვე მასთან მყოფი მთელი ხალხი, და ქაროდის ხევში დაბანაკდა. მიდიანის ბანაკი მისგან ჩრდილოეთით იყო, მორეს ბორცვთან, ვაკეზე. უთხრა უფალმა გედეონს: ძალზე ბევრია ხალხი. არ ჩავაგდებ ამათ ხელში მიდიანს, რომ არ გამიდიდგულდეს ისრაელი, არ თქვას, ჩემმა ხელმა მიხსნაო. ამიტომ გამოუცხადე ხალხს და უთხარი: ვინც შეშინებულია და კანკალებს, უკან გაბრუნდეს, წავიდეს გალაადის მთიდან. ოცდაორი ათასი კაცი უკან გაბრუნდა, ხოლო ათი ათასი დარჩა. უთხრა უფალმა გედეონს: მაინც ბევრია ხალხი. წყალზე ჩაიყვანე და იქ გამოგირჩევ მათ. ვისზეც გეტყვი, გამოგყვეს-მეთქი, ის გამოგყვეს. ვისზეც გეტყვი, ნუ გამოგყვება-მეთქი, ნუ გამოგყვება. და ჩაიყვანა მან ხალხი წყალზე. უთხრა უფალმა გედეონს: ვინც ენით შესვლეპს წყალს, როგორც ძაღლები სვლეპენ, ცალკე დააყენე, აგრეთვე ისინიც, ვინც ჩაიმუხლებს და ისე დალევს. ენით მსვლეპელთა რიცხვი სამასი იყო, დანარჩენმა ხალხმა ჩაიმუხლა და ისე დალია წყალი. უთხრა უფალმა გედეონს: სამასი მსვლეპელით გიხსნით და ხელში ჩაგაგდებინებთ მიდიანს, დანარჩენი ხალხი შინ წავიდეს“ (მსაჯ. 7:1-7).

გასაგებია, მეომართა უმცირესი რაოდენობის დატოვებით ღმერთს სურდა, ეჩვენებინა, რომ გამარჯვება ისრაელს არა ძალის სიმრავლემ, არამედ ღვთიურმა ჩარევამ მოუტანა. მაგრამ ისმის კითხვა: რისი ნიშანი იყო წყლის ძაღლივით სვლეპა სამასი მეომრის მიერ და რატომ იქნა ეს სამასი მსვლეპელი არჩეული გასამარჯვებლად? შეიძლება ვიფიქროთ, რომ ხალხის ეს კატეგორია – ძაღლივით მსვლეპელნი – იმ ზღვრზე იმყოფება, რომლის ქვემოთ ადამიანი, როგორც ადამიანი, წყვეტს არსებობას. ბრძოლა კი ადამიანების საქმიანობაა, რისთვისაც ძაღლები სრულიად გამოუსადეგარნი არიან. მეორე მხრივ, თუმცა მსვლეპელნი რჩებიან ადამიანებად, მაგრამ ისეთებად, როგორნიც თავიანთი სულმოკლეობის გამო ასევე სრულიად გამოუსადეგარნი არიან ბრძოლისათვის. მაგრამ უფალი მათი საშუალებით იმარჯვებს.

შენიშვნა 1.

შესაძლებელია მსვლეპელთა პოზიციის სხვაგვარი ინერპრეტაციაც, თუმცა ეს იქნება ადამიანური თვალთახედვა. მსვლეპელნი ანუ უთასონი, როგორც ბარბაროსნი, უპირატესობენ ბრძოლაში კულტურით განაზებულ ადამიანებზე, რომლებიც ადამიანური წესებით იქცევიან: ჩაიმუხლებენ, იარაღს გვერდზე დადებენ, რათა ხელი გაითავისუფლონ თასის ასაღებად ან პეშვის შესაქმნელად, რომ წყალი ადამიანურად შესვან. მათ ომის პირობებშიც არ ავიწყდებათ ეს წესი. მაგრამ მათი იარაღი თუნდაც ერთი წამითაც უპატრონოდ დევს მიწაზე, რასაც მსვლეპელი არ დაუშვებს: იარაღი ხელში ჩაბღუჯული აქვს და სვლეპს წყალს. მხოლოდ ასეთნი იმარჯვებენ.

შენიშვნა 2.

დიოგენე სინოპელის ცხოვრებაში კონცეპტუალურ მნიშვნელობას იძენს ძაღლის თემა, რაც, ერთი მხრივ, განპირობებულია იმ სკოლის სახელწოდების ეტიმოლოგიით, რომლის საუკეთესო წარმომადგენელი თავად იყო. შესაძლოა, kynikos არ იკითხებოდეს, როგორც ,,ძაღლური'' და სრულიად სხვა შინაარსი ჩაიდო მასში, როცა ეს ტერმინი შეიქმნა, მაგრამ არავის, თვით დიოგენესაც, ეს არ გაუსაჩივრებია, პირიქით, დაეთანხმა, ძაღლი რომ უწოდეს, და აიტაცა და ძაღლი თავისი ცხოვრების სტილის სიმბოლოდ აქცია. და თუმცა იგი ამბობდა, რომ მას სურს, არათუ *ჰგავდეს* ძაღლს, არამედ *იყოს* ძაღლი, ყოველგვარი სიმბოლიზმის გარეშე, მაინც მთელი მისი ცხოვრება და მისი ყოველი საქციელი სიმბოლური იყო. მისმა კონკრეტულმა რეალურმა საქმიანობამ, მონეტების ყალბისმქმნელობამ, ,,ფასეულობათა გადაფასების'' სიმბოლური სახე მიიღო. ადამიანი ძაღლად გადაფასდა. კულტურული ცხოვრების პირობითობას (რომელიც თავისი ბუნებით სიმბოლურია) ძაღლური ცხოვრების პირობითობა შეუნაცვლა. ადამიანობაზე უარი ითქვა ადამიანისვე სახელით. როცა ალექსანდრე მაკედონელის სიტყვებს ,,მე დიდი მეფე ალექსანდრე ვარ'', მან მიუგო მე კი ძაღლი დიოგენე ვარო'', ეს ადამიანობის გამოწვევა იყო ისევ და ისევ ადამიანობის პოზიციიდან. ის ამბობს ამით, რომ მე ძაღლი ვარ და სრულყოფილად ვასრულებ ძაღლობას, არა ისე, როგორც თქვენ ადამიანები – ადამიანობას. როცა ძვალი გადაუგდეს, როგორც ძაღლს, მან ძაღლივით დააშარდა ძვალს [*დიოგენე*:228]. ეს ეპატაჟი იყო, რომელიც თავისთავად სიმბოლური საქციელია და ქცევის ამ სიმბოლიზმში სინოპელი დიოგენე ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებს გვაგონებს, რომლებიც ხალხის დარწმუნებას, როცა სიტყვა აღარ ჭრიდა, იგავურ-სიმბოლური ქცევით ცდილობდნენ.

დიოგენე ამაყად უწოდებს თავს ,,უპოლისოს'' (ბერძნ. *აპოლის*), რაც გულისხმობს ბერძნულ პოლისში ისტორიულად დაგროვებულ ყველა იმ

კულტურულ ფასეულობათა უარყოფას, რომლებიც ბერძნული პოლისის საზრისს, როგორც ისტორიულ მონაპოვარს, შეადგენს. რამდენადაც დიოგენე *უპოლისოა*, იმდენადვე *უთასოა*. ელინური ცივილიზაციის დასასრულს, ელინი დიოგენე უარყოფს პოლისს, ადამიანური თანაცხოვრების უმაღლეს ფორმას, რომლითაც ელინი ემიჯნებოდა დანარჩენ ბარბაროსულ სამყაროს. ეს საზღვარი თითქოს წაშლილია კულტურულ ნივთთა უარყოფით, მაგრამ იდეათა სამყარო უხილავად მყოფობს მის ცაზე, რაც მენტალურ ბარბაროსობაში გადავარდნას არ ანებებს. იგი რჩება ფილოსოფოსად.

არისტოტელეს ცნობილ დებულებას – „ის, ვინც თავისი ბუნების და არა რაღაც შემთხვევის გამო ცხოვრობს პოლისის გარეშე, ან ზნეობრივად მოუმწიფებელი არსებაა ან ზეკაცი“ (*პოლიტეია* 1253a), თუ დიოგენეზე შევამოწმებთ, უნდა ვიფიქროთ, რომ მას თავი უმწიფარად არამც და არამც არ უნდა მიეჩნია (დიოგენი ბოლოა, არა დასაწყისი). დიოგენეს მცდელობაში, შეიცვალოს ბუნება ანუ ბუნებით *უპოლისო* (და *უთასო*) გახდეს, ზეკაცობის პრეტენზია ჩანს. მას სურს იყოს ზეკაციც და ბავშვიც, რომელიც ზეკაცის მეორე მხარეა და რომლის ქცევა ჭეშმარიტებას ღაღადებდა მის თვალში. ამ კონტექსტში მის პასუხში ალექსანდრესადმი „მე ძაღლი დიოგენე ვარ“ ჰუბრისის გამოხატულება უნდა დავინახოთ. შესაძლოა, მართლაც ამ ცხოველის სახელი ზეირონიით ზეკაცზე მიანიშნებდეს. კასრის ბინადრის პარადოქსული ყოფა და აზროვნება ამ ვარაუდს არ გამორიცხავს.

II

დიოგენე ეთხოვება იმას, რითაც, შესაძლებელია, ადამიანმა ადამიანური ცხოვრება დაიწყო. თუ დიოგენესთვის თასმა ამოწურა თავისი თავი, შუამდინარულ ეპოსში იგი თავიდან იწყებს თავის საქმეს. ველებიდან მოსულ ნახევარმხეც ენქიდუს „გალავნიანი ურუქის“ სახით პოლისის პოვნის გზაზე, გზის დასაწყისში, რაც მისი განკაცების გზაა (რომელსაც უკუქცევით გაივლის დიოგენი), თასი ელოდება.

იგემა ენქიდუმ ჭამადი ძღომამდე,
სასმელი შესვა – შვიდი თასი.

ამ აქტის შემდეგ, ეპოსის თანახმად, მსვლეპელის განკაცება დასრულებულია.

III

არ უნდა იყოს მოულოდნელი, არამედ სრულიად კანონზომიერი, თუ რომელიმე საკრალურ საზოგადოებაში თასი ადამიანის სიმბოლოდ შეგვხვდება. ინდურ რელიგიურ-რიტუალურ, კერძოდ, დჰარმულ ტექსტებში *პატრა* (“ჭურჭელი“) მართალ ადამიანს, რომელიც იმსახურებს წყალობას, ხოლო *აპატრა* („უჭურჭლო“) – ცოდვილს გულისხმობს, რომელსაც არა აქვს მოწყალების გამოთხოვის უფლება. ორგზის შობილთა საზოგადოებიდან გაძევების (მოკვეთის) ანუ *აპატრას* მდგომარეობაში გადაყვანის ცერემონიალი შეიცავს გასაძევებელისთვის უწმიდური წყლით სავსე ჭურჭლის გადაცემის რიტუალს. თასს გადმოაყირავებენ იმის ნიშნად, რომ ადამიანს წართმეული აქვს მისით სარგებლობის უფლება (თასით წყლის შესმა). როცა ცოდვა გამოსყიდულია, ადამიანს აძლევენ ჭურჭელს წმიდა წყლით და იგი უბრუნდება *პატრას* მდგომარეობას [*რომანოვი*].

IV

იდეების ნიმუშად თასის ცნების მოტანა დასაწყისში მოყვანილ ანეგდოტში შემთხვევითად არ ჩაითვლება, თუ გავაყოლებთ თვალს თასის ბიოგრაფიას მსოფლიო „ანეგდოტებში“, მაგრამ ამჯერად ელინური მსოფლიოთი ვიფარგლებით. მართალია, პეშვი პრაგმატულ-უტილიტარული თვალსაზრისით მაინც ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალობას, და, შესაძლოა, უკეთესადაც, რამდენადაც ადამიანი ბუნებასთან სიახლოვის წყურვილით ამჯობინებს მის გამოყენებას და უპირატესობას აძლევს მას თასის, როგორც ხელოვნური ხელსაწყოს, წინაშე. ეს ჩვენს განუშორებელ გამოცდილებაშია. „პეშვი მოვრკალე თასივით“ ამბობს პოეტი (ალ. აბაშელი) და ჩვენც არაერთხელ შეგვიქმნია ამ მიზნით პეშვი.

თუ დიოგენმა თასის გადაგდებით, ჩამოიხსნა ადამიანური კულტურის ტვირთი და უკანასკნელი კავშირი გაწყვიტა კულტურულ კაცობრიობასთან, როგორსაც მისი ქვეყანა წარმოადგენდა, უკაცრიელ კუნძულზე გარიყულ მის თანამემამულეს ფილოკტეტეს, გველისგან დაგესლილს, უკურნებელი ჭრილობით გაწამებულს, რომლის ყივილი ცას სწვდებოდა, ეყო ძალა, რომ ამ კავშირის შესანარჩუნებლად ხისგან თასი გამოეჩორკნა (სოფოკლე, „ფილოკტეტე“, 35-37).

ორად-ორი ნივთი, რაც აღმოაჩინეს მის გამოქვაბულში, ეს იყო თასი და „კვეს-ახედი“, რომელთა ხილვაზე ოდისევსმა წარმოთქვა ფრაზა, რომელიც შეიძლება გავიგოთ ასე: „სულ ეს არის მისი ნაგროვები (*თესაურისმა*)“? ან ასე: „სულ ეს არის მთელი მისი განძი“ (*თესაურისმა*)? არც ერთი გაგება ირონიას მოკლებული არ არის. ირონია იმ ადამიანისა, რომლის

ხელში აღმართული ნიჩაბი ნაოსნობის ნიშნად უნდა ქცეულიყო ხალხებში („ოდისეა“) დადებით შინაარსს იძენს, რადგან ფილოკტეტეს თასი, რაც უნდა შორს ყოფილიყო მისი ქვეყნის ხელოვნებისთვის დამახასიათებელი სრულყოფილებისგან, და კიდევ, რაც გამოქვაბულში აღმოუჩინეს, ცეცხლის გაჩენის ხელსაწყო (*პ რეიონ*), მართლაც განძი უკაცრიელი კუნძულის ბინადარისთვის. ის იყო ნიშანი მისი ერთგულებისა კაცობრიობისადმი.

V

კვლავ ჩვენ ძველ ავტორს დიოგენე ლაერტელს ვუბრუნდებით. კითხვაზე – რომელია ადამიანის ხელით დამზადებული ის პირველი ნივთი, კულტურის სიმბოლოდ რომ გამოდგეს და იტვირთოს მისი ანი და ჰოე? – ვპასუხობთ: ეს თასია, რომელიც შორს გასცდა თავის პირვანდელ დანიშნულებას, ყოფილიყო წყურვილის მოკვლის ან, თუნდაც, მსხვერპლშეწირვის წმიდა ხელსაწყო. მან იტვირთა იმაზე მეტი, რისთვისაც მოწოდებული იყო.

ჩვენი ავტორი თალესის ბიოგრაფიაში უტრიალებს თასის თემას, რამდენიმეგზის მოგვითხრობს თქმულებას სხვადასხვა ტრადიციით, სადაც ცენტრალური ფიგურებია თასი და შვიდი ბრძენი. სხვა ორ თქმულებაში თასს სამფეხი ენაცვლება – ორივენი საკულტო ნივთებია [*დიოგენე*:62-64].

ტექსტი 1 (სამფეხი)

„ამბობენ, რამდენიმე იონიელი ყმაწვილი კაცი წინასწარ შეუთანხმდა მებადურებს, რომ იყიდიდნენ იმას, რასაც მათი ბადე ამოათრევდა. ბადემ სამფეხი ამოათრია და შეიქნა დავა, ვის უნდა მიკუთვნებოდა იგი. ბოლოს, მილეტელებმა გაგზავნეს სამფეხი დელფოში და ღმერთმა (აპოლონმა) ასეთი განაჩენი გამოიტანა: „მილეტის ნაშიერო, ფების სამფეხზე მეკითხები? აჰა, ჩემი პასუხი: სამფეხი ბრძენთა შორის უპირველესს ეკუთვნის!“ სამფეხი გაუგზავნეს თალესს, მან სხვა ბრძენს გადასცა, სხვამ – მესამეს და ასე სოლონამდე. მან კი განაცხადა, რომ სიბრძნეში ღმერთია პირველი და სამფეხი დელფოში გადაგზავნა“.

ტექსტი 2 (თასი)

„მაგრამ კალიმახე „იამბებში“ სხვაგვარად მოგვითხრობს ამბავს, რომელიც მეანდრიოს მილეტელისგან გაუგონია. არკადიელმა ვინმე ბათიკლოსმა სიკვდილის წინ დასტოვა თასი (*ფიალე*) ასეთი ანდერძით: „მიეცით მას, ვინც ბრძენთა შორის უკეთესია“. და მისცეს თალესს. თალესისგან

გადაცემულმა მოიარა ყველა ბრძენი და კვლავ თალესს დაუბრუნდა, თალესმა კი აპოლონ დიდიმეელს გაუგზავნა ასეთი წარწერით: ,,მიმართვა ნელევსიდების მეფეს, ფებოსს, თალესმა, რომელმაც ორგზის დამიმსახურა ჯილდოდ". ბრძენიდან ბრძენამდე კი თასს ბათიკლოსის ძე ფირიონი დაატარებდა".

ტექსტი 3 (თასი)

ხოლო ევდოქსოს კნიდიელი და ევანთეს მილეტელი ამბობენ, რომ კრესოსმა (კრეზემ) ერთ-ერთ თავის მეგობარს ჩააბარა ოქროს თასი (*პოტერიონ*) ელინთა შორის უბრძენესისთვის გადასაცემად. მან იგი თალესს გადასცა, თასმა მოიარა ყველა ბრძენი ხილონამდე, რომელიც პითიას დაეკითხა, თუ ვინ იყო მასზე ბრძენი, მან კი მისანი დაასახელა...

ტექსტი 4 (სამფეხი)

,,სხვანი ამბობენ, რომ სამფეხი ჰეფესტომ გამოჭედა და პელოპსს აჩუქა მის ქორწილზე; პელოპსისგან მენელაოსს შეხვდა და მერე ელენესთან ერთად ალექსანდრემ (პარისმა) მოიტაცა, ელენემ იგი კოსის ზღვაში ჩააგდო სიტყვებით ,,იომონ მისთვის!" გამოხდა ხანი და რამდენიმე ლებედოსელმა ამ მხარეში მებადურებისგან მათი ნადავლი იყიდა და ნადავლთან ერთად მათ ხელში სამფეხიც მოხვდა. დაიწყეს დავა მებადურებთან და იმდენი იდავეს, რომ კუნძულ კოსამდე მივიდნენ. აქ რომ ვერ მორიგდნენ, თავიანთ მეტროპოლიას მილეტს მიმართეს. მილეტის ელჩობამ ნაყოფი ვერ გამოიღო და მილეტელებმა გაილაშქრეს კოსზე. ორივე მხრიდან ბევრი დაეცა ბრძოლაში და, ბოლოს, ორაკულმა ბრძანა, სამფეხი ყველაზე ბრძენისთვის მიეცათ. მაშინ ორივე მხარე შეთანხმდა, რომ სამფეხი თალესისთვის მიეცათ. ხოლო მას შემდეგ, რაც სამფეხმა ყველა ბრძენი შემოიარა, თალესმა იგი დიდიმეელ აპოლონს შესწირა. კოსელებს კი ეს განაჩენი ემცნოთ:

,,არ შეწყდება იონიელთა და კოსელთა ომი,
ვიდრე გადაგდებული ზღვაში სამფეხი, ჰეფესტოს ნახელავი,
არ მოშორდება აქაურობას და არ ჩაბარდება კაცს,
ვინც უწყის ყოველი – რაც იყო და რაც იქნება".

თასის დაწყვილება სამფეხთან მოულოდნელი არ უნდა იყოს, რამდენადაც თქმულების თანახმად მათი საბოლოო ადგილსამყოფელი დელფოს სამისნოა, სადაც ორივენი, როგორც საკულტო ნივთები, თავ-

თავიანთი ფუნქციით, ერთმანეთს ავსებენ. მაგრამ ამ ტექსტებში, რომლებიც ასევე ერთმანეთის შემავსებელნი არიან, ისინი, როგორც სინონიმები, ერთი და იმავე ფუნქციით მონაწილეობენ.

ეს ნივთები სამ ეტაპს გადიან ამ ნარატივში, რომელსაც აქვს მითოსის ნიშნები, თუმცა მითოსად მას, შესაძლოა, არავინ მიიჩნევდეს. ნადავლი, რომელშიც გარკვეული განზრახვით ზღვაში გადაგდებული თასი თუ სამფეხი მოყვა, ჯერ თუ მეგობართა შორის თანხმობის ნიშანია, მეორე ეტაპზე ეფემერული დავისა თუ ხანგრძლივი ომის საგანი ხდება (*ტექსტები 1-2*), – როცა ის ჯერ კიდევ ჩვეულებრივი ნივთია, თუნდაც ქმნილება, შესაძლოა, განძიც, – რათა თავდაპირველი თანხმობა უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანოს, ვიდრე ნივთი თავის საბოლოო ადგილს იპოვიდეს,რისთვისაც გამიზნულია იგი. მაგრამ მანამდე ის სხვა ფუნქციას ასრულებს.

თასსა თუ სამფეხს ერთი გზა აქვთ: თავდაპირველად ნივთიერი სიმდიდრის ნიშნით გამოჩნდებიან ნარატივში, განსაკუთრებით, როცა მითოსურად განთქმული კრეზეს ხელში ვხედავთ ერთ მათგანს და ის (თასი) ოქროსია (მიდიელი მეფის საბედისწერო ნიშანიც ეს არის), ან სამფეხს, რომელიც ვერ იქნება ოქროსი, როგორც ცეცხლთან საურთიერთო ნივთი, მაგრამ მიუხედავად ამისა, რაც, შესაძლოა, აბრკოლებდეს მის გათანაბრებას თასის, როგორც ძღვენის, სიმბოლიზმთან, მაინც სამფეხმა, როგორც ჰეფესტოს ნახელავმა, საქორწინო საჩუქრის მაღალი სტატუსი დაიმსახურა და ორაკულის განაჩენის გამოცხადებამდე ელენეს წყევლას ემორჩილება და ომის საბაბი ხდება. ნარატივის საბოლოო საზრისი არ შეიცვლება, იმისდა მიხედვით, თუ რა თავგადასავალი აქვს თასსა თუ სამფეხს – ზღვიდან არის ამოთრეული თევზებთან ერთად, თუ ყოველგვარი წინაისტორიული პერიპეტიების გარეშე, ის მაინც შეასრულებს თავის მისიას, ანდერძით თუ დანაბარებით გამოხატულს. ამ მხრივ, კლასიკურია თავისი სიმარტივით და გამჭვირვალობით *ტექსტი 1.*

დასმულია ეს კითხვა – ვინ არის ყველაზე ბრძენი? – როგორც გამოწვევა და გამოცდა, და დასმულია იგი ზღვის სიღრმეებიდან, ქვეყნიერების *არქედან*, როგორც ეს თალესს, მოკვდავთა შორის უპირველეს ბრძენს მიაჩნდა. თასს თუ სამფეხს დაეკისრა მისია, ამოიცნოს ყველაზე ბრძენი, და ნივთი მოგზაურობს ბრძენიდან ბრძენამდე იმ გამომცდელი მოლოდინით, რომ რომელიმე მათგანის ხელში დარჩება სამუდამოდ. მაგრამ ასე არ მოხდა.

თასი გადაეცა თალესს, რომელიც მიიჩნიეს ყველაზე ბრძენად, მაგრამ თავად თალესი ასეთად არ მიიჩნევს თავს, გადასცემს x-ს (ვარიანტებში სხვაობენ პირთა სახელები), რომელსაც ის თავისზე ბრძნად შერაცხავს, ეს უკანასკნელი მის კვალზე იქცევა და ყველა ბრძენის გამოვლენის შემდეგ კვლავ თალესს უბრუნდება. რას ნიშნავს ეს? თუ ეს ნარატივი შვიდი

ბრძენის გამოვლენის მითოსია, თასი ან სამფეხი ის ნივთია, რომლის მეშვეობითაც ხდება გამოვლენა. აქ ნივთი კრავს წრეს, რომელიც მის გარეშე ვერასოდეს შეიკვრებოდა, განუსაზღვრელი რაოდენობიდან შვიდის არჩევა ვერ მოხდებოდა. ნივთი აქ არჩევის ნივთიერი საყრდენია.

თასის პირველმა გადაცემამ ამოარჩია ბრძენი და ახლა თითოეულ ბრძენს თასი აძლევს შანსს ამოარჩიოს თავისზე ბრძენი. ნივთი, როგორც გამოწვევის ნიშანი, ელის თითოეულისგან გადაწყვეტილებას. როცა თასი პირველად არჩეულთან დაბრუნდება ანუ შეიკვრება წრე, აღმოჩნდება, რომ თითოეული მათგანი ერთმანეთზე ბრძენია ანუ ისინი სიბრძნეში თანაბარნი არიან. სწორედ ამ თანამიმდევრული არჩევით, როცა ერთმანეთს უპირატესობა მიანიჭეს, დაამტკიცეს მათ თავიანთი სიბრძნე. ისე მოხდა, როგორც პლატონი წერდა ,,სახელმწიფოში", რომ ღირსეული და ბრძენი კაცი არ ცდილობს აღემატოს თავისსავე მსგავსს (სახელმწიფო 350b). რიცხვი შვიდი ამას მიანიშნებს. *შვიდი* ხომ არ არის რიცხვების ჯამი, ის ერთიანი მთლიანობაა, რომელიც არ იშლება შემადგენლებად, რომელთაგან ერთი ნაკლები იქნებოდა მეორეზე. მაგრამ ვერც ერთს ვერ დავუკარგავთ ინდივიდუალობას, ვერ გავთქვეფთ ერთმანეთში, თუნდაც *შვიდში*: თითოეული მათგანი შეუდარებლად უნიკალურია. მაგრამ *შვიდი* თითოეულ მათგანზე უპირატესობს.

მას შემდეგ, რაც შვიდი ბრძენის ხელში გაიარა და ყოველ მათგანში სიბრძნე დამოწმა, თასმა უნდა შეწყვიტოს *თასობა*, როგორც თავდაპირველად ჩაფიქრებულმა ხელსაწყომ. ამ წრის შემოწერის შემდეგ, ახალი გამოცდილებით გამდიდრებული, კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ადის აპოლონის საკუთრებაში. თასს (თუ სამფეხს) ბრძენთა ამბავი მიაქვს აპოლონთან. აპოლონი კი თავის მხრივ ადასტურებს ბრძენთა გადაწყვეტილებას.

შენიშვნა

მაკარი ეგვიპტელს სტუმრად მოსულმა ბერმა ყურძენი მიართვა. მაკარიმ თავისთვის ვერ გაიმეტა ყურძენი და მის ახლო დაყუდებულ სნეულ ბერს გაუგზავნა. ამ ბერმაც არ ახლო ხელი ყურძენს და სხვა ბერს გადაუგზავნა. ის სხვაც ასე მოიქცა. და ასე, ამ ყურძნის მტევანმა ყველა ბერი შემოიარა, ვინც კი ახლო-მახლო ეყუდა.

შვიდის აღმომჩენი შეიძლება ყოფილიყო ნებისმიერი სხვა საგანი თუ ნივთი, ან სულიერი არსება – ცხოველი (ფური) თუ ფრინველი (მტრედი), როგორც შეგვიძლია ანალოგიურ დაარსების მითოსებში ვიხილოთ, სადაც არსებანი, როგორც ღვთის ნების საუკეთესო გამტარნი, არ საჭიროებენ შუამავალს, გამძღოლს. თასსაც და სამფეხსაც შეეძლო მხოლოდ ღვთის ნებას ყოფილიყო მინებებული, როგორც ანალოგიურ შემთხვევებში ფშავ-

ხევსურულ ანდრეზებში ვადასტურებთ დინამიური, დამოუკიდებლად მოძრავი თასის თუ სხვა საგნების მიმართ. მაგრამ კლასიკური ტიპის ელინური ნარატივი არ ცნობს თვითმოძრავი ნივთების სასწაულებრივ გამოჩენას („იუდეველნი მოითხოვენ სასწაულებს და ელინები სიბრძნეს ეძებენ“, 1 კორ. 1;22), ამიტომაც *ტექსტი 2* თასის მიმოტანას ბრძენთა შორის ავალებს მეანდერძის ბათიკლოსის ვაჟს. ელინურ რაციონალისტურ წარმოსახვას ამ მითოსში ადამიანური აგენტი ესაჭიროება, რაც სრულიად ზედმეტია.

ზემოთ ითქვა, რომ იმ მიზნის აღსრულებაში, რისთვისაც თასი და სამფეხი არიან მოწოდებულნი, ეს ნივთები სემიოტიკური სინონიმებია, მაგრამ არა აბსოლუტური. თასს გარკვეული უპირატესობა აქვს, თუმცა თუ შორს წავალთ, სამფეხი (*ტრიპოს*) დიდად არ ჩამორჩება მას. სამფეხს ვხედავთ იმ საჩუქრების თავში, რომელიც ოდისევსმა ფეაკელთა კარზე მიიღო (ოდ. XIII, 13), ხოლო „ილიადაში“ სრბოლაში მორკინალთა საპატიო ჯილდოა (ილ. XI, 700), რაც ცხადყოფს მის მაღალ ნიშნობრივ სტატუსს. მაგრამ თასს, როგორც ხელსაწყოს, ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია გამოარჩევს: მასში ზიარების სითხეა ჩაყენებული (მითოსის თანახმად: *ამბროსია* „უკვდავების სასმელი“), რომელიც აღრმავებს და განამტკიცებს შვიდის კავშირს.

VI

ადამიანის ხელით შექმნილ საგანთა იერარქიაში თასს ნამდვილად უმაღლესი საფეხური უჭირავს. თავის მნიშვნელობას ადასტურებს იგი არა მხოლოდ განკაცების გზაზე შემდგარ ენქიდუს ხელში, არამედ მისი უარმყოფელი დიოგენეს საქციელშიც და მრავალნაცადი ოდისევსის ირონიაშიც, როცა განძად მოიხსენია ფილოკტეტეს ხელით გამოჭორკნილი ეს ჭურჭელი. რაც უნდა მარტივი იყოს ეს საყოფაცხოვრებო ნივთი, ხელსაწყო, რომელსაც ფორმა ადამიანის პეშვმა უკარნახა, იგი ვერ ეტევა უტილიტარული პრაქტიკით მიჩენილ საზღვრებში. მას შეუძლია მოექცეს საგანთა იერარქიის თავში, როგორც სვეტის თავზე შემოდგმულ ყაბაზს.

ყაბაზის თასი უკიდურესად სუბლიმირებულია, ის შორს არის გაცდენილი ზღურბლს, რომელიც მისმა ავტორმა მიუჩინა, და მთლიანად ჩამოცილებული აქვს გამოსადეგობა. ის უკვე წმიდა ნიშანია, ნიშანი წმიდა სახით. მაგრამ რა არის ის, რისი ნიშანიცაა იგი? ეს არის რაიმე სიქველეზე დაფუძნებული ღირსება, რომელიც ისევე გამოუსადეგარია, როგორც მისთვის მიღებული ჯილდო.

VII

როცა თასზე ვლაპარაკობთ, ვერ გავექცევით ქრისტიანულ დასავლეთში განთქმულ გრაალის თასს. თუ *თასობა* თავის მწვერვალს გრაალის თასში აღწევს, ის სხვაგვარად აღწევს, ვიდრე თასი ყაბახისა ან თასი, როგორც დელფოს საკულტო ხელსაწყო. გრაალის თასი არის ძიების საგანიც და მაძიებლის ჯილდოც ერთდროულად. თუ თასის მხრიდან, მისი პოზიციიდან შევხედავთ, იგი იგი ელის თავის რჩეულს: ძიების დასაწყისი არჩევაა, რადგან მხოლოდ რჩეულთა ხვედრია ძიება და პოვნა, როგორც ჯილდო. თასი ირჩევს მას, ვინც მისი ხილვის და მოპოვების პირობებს აკმაყოფილებს. ასეა თუ ისე, გრაალის ძიება სრულყოფილების გზაზე სვლაა.

მოციქულთა რიცხვის თანაზიარი მეფე არტურის ის თორმეტი რაინდი, რომელიც *მრგვალი მაგიდის* (თასის და, თუნდაც, სამფეხის კონფიგურაციას რომ იმეორებს) ირგვლივ არის შემოკრებილი, ქრისტეს მოციქულთა მსგავსად, თანაბარნი არიან, ამიტომაც ამ მაგიდას არა აქვს არც სათავე, სადაც მათ შორის უკეთესი დაიკავებდა ადგილს, და არც ბოლო, სადაც მათ შორის უდარესი დავჯდებოდა. ეს *თორმეტიც* იმავე თვისებისაა, რაც *შვიდი* ელინურ თქმულებაში, სადაც ასევე არსებობს *მრგვალი მაგიდა*, მაგრამ მისი არსებობა ვირტუალურია, უფრო დროჟამულ განზომილებაში მყოფობს უხილავად, ვიდრე სივრცულში და, ამრიგად, უფრო მაგიდის იდეას – *მაგიდობას* გამოხატავს, რის სახილველადაც პლატონის თქმით გონების თვალია აუცილებელი. ისევე, როგორც ელინურ თქმულებაში, აქაც თასი თითოეულის წილხვედრილი უნდა იყოს: თითოეული მათგანი უნდა ეზიაროს ამ თასიდან მას შემდეგ, რაც სრულყოფის გზას გაივლის. ქრისტე, რომელსაც ხელთ უპყრია ბარძიმი (ლეგენდებში გრაალის თასად წოდებული), თანაბრად აზიარებს მოციქულებს, რიგ-რიგობით რომ ეახლებიან მას, ერთ მხარეს ექვსი, მეორე მხარეს ექვსი, როგორც მოციქულთა ზიარების ხატი გვისურათებს (ეს სცენა განსხვავდება უკანასკნელი სერობის აღწერისგან). გრაალის ლეგენდის შინაგანი ლოგიკა კარნახობს ნარატივის განვითარებას: თითოეულმა ამ თორმეტიდან თავ-თავისი უნიკალური გზა უნდა გაიაროს სრულყოფისკენ, რათა თითოეული თავის გზის ბოლოდან დაბრუნდეს მრგვალ მაგიდასთან, სადაც მას მაგიდის შუაგულში დასვენებული საფარველახდილი თასი, როგორც ჯილდო ღვაწლისთვის, დახვდება.

შენიშვნა 1

მაგრამ ლეგენდის თანახმად, მეფე არტურს თორმეტზე გაცილებით მეტი სახელოვანი რაინდი ჰყავდა თავის კარზე და მეტოქეობა მათ შორის ისეთი მწვავე იყო, რომ მან დაამზადებინა მრგვალი მაგიდა, რათა აცილებულიყო დავა იმის თაობაზე, თუ ვინ უნდა მჯდარიყო სათავეში.

შენიშნულია, მრგვალი მაგიდა იმეორებს გრაალის ტაბლას, რომელიც სხვა არაფრია, თუ არა ტაბლა უკანასკნელი სერობისა. ამიტომაც ევალებოდათ მის გარშემო მსხდომ რაინდებს ისეთივე ჰარმონია ყოფილიყო დამკვიდრებული მათ შორის, როგორიც ქრისტეს მოციქულთა შორის სუფევდა [კავენდიში:53-54]. თუმცა იყო შემთხვევა, როცა ზებედეს შვილებმა, იაკობმა და იოანემ, მოსთხოვეს იესოს, რომ თავის დიდებაში ერთი თავის მარჯვნივ დაესვა, მეორე – მარცხნივ, რამაც დანარჩენი ათის დრტვინვა გამოიწვია (მრ. 10:35-41).

შენიშვნა 2

აშკარაა გრაალის თქმულების არა მხოლოდ ზოგადქრისტიანული არსი, არამედ მისი კონკრეტული გამოხატულება, კერძოდ, ევქარისტიის საიდუმლოს სახით. ჩანს, დასავლეთის რელიგიურმა ცნობიერებამ ლეგენდაში სიუჟეტურად განფინა საღვთო ლიტურგიის მთელი შინაარსი. ამ საიდუმლოს ძლიერ და ღრმა ლიტურგიულ განცდას განუმსჭვალავს ქრისტიანობამდელი წარმოშობის კელტური თქმულება და სრულიად გარდაუქმნია იგი. მოციქულთა რიცხვის თანაზიარი ის თორმეტი რაინდი, რომელიც მრგვალი მაგიდის (თასის და, თუნდაც, სამფეხის კონფიგურაციას რომ იმეორებს) ირგვლივ არის შემოკრებილი და ზნეობრივ სრულყოფას ესწრაფის, სხვა რა უნდა იყოს, თუ არა ეკლესია, რომლის ზღვრული რიცხვი „მოციქულთა დადგენილებების“ თანახმად, თორმეტია – კრებული მორწმუნეთა ბარძიმის გამოჩენის მოლოდინში, რომელსაც მათ წინაშე საფარველი უნდა აეხადოს, რომ სათითაოდ ეზიარონ „უხრწნელთა და ცხოველსმყოფელთა საიდუმლოთა“. ჟამისწირვის მთელი განმავლობა მათ გამობრძანებამდე ხომ ზიარებისთვის სამზადისია.

ასეთია გრაალის ლეგენდის იდეა. მაგრამ *მრგვალ მაგიდასთან* ერთი სკამი თავისუფალია. თავისუფალი ადგილი შეიძლება ნიშნავდეს ან იმას, რომ ერთი წევრი გასულია ამ წრიდან, როგორც იუდა, რომელმაც დატოვა უკანასკნელი სერობის ტაბლა, ან იმას, რომ იგი ელის რჩეულს. წრე არ არის დასრულებული, ის გაწყვეტილია ერთ ადგილას და რჩება ასე, ვიდრე არ მოვა რჩეული გრაალით ხელში, რათა დაიკავოს თავისი კუთვნილი ადგილი და, ამრიგად, გაამრთელოს გაწყვეტილი წრე.

ლიტერატურა

გილგამეშიანი 1984: გილგამეშიანი, “ნაკადული”, თბ., 1984.

დიოგენე 1998: Äèîãåí Ëààðòñêèé, Î æèçíè, ó÷åíèÿõ è èçðå÷åíèÿõ çíàìåíèòûõ ôèëîñîôîâ, Ì., «Ìûñëü», 1998.

კავენდიში 1983: Cavendish R. King Arthur and the Grail, Granada Publishing, 1983.

კიკნაძე 1996: კიკნაძე ზ. ქართული მითოლოგია I, ჯვარი და საყმო, ქუთაისი, 1996.

რომანოვი 1980: Ðîìàíîâ Â. Í. Íåêîòîðûå îñîáåííîñòè ýòè÷åñêèõ ïðåäñòàâëåíèé äðåâíèõ èíäèéöåâ (ïî ìàòåðèàëàì äõàðì àøàñòð), ÂÄÈ ¹ 3, 1980.

ქეგლ 1960: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თ. VI, თბ., 1960.

ჰაიდეგერი 1992: ჰაიდეგერი მ. დასაბამი ხელოვნების ქმნილებისა, გერმანულიდან თარგმნა გიორგი ბარამიძემ, „გონი“, თბ., 1992.

Zurab Kiknadze

A Cup, Diogenes and Seven Sages

In the hierarchy of things made by human hand a cup holds the highest place. Its symbolic meaning is attested not only in the hands of Enkidu on his way to becoming human (*The Epic of Gilgamesh*), but in the behavior of Diogenes of Sinope, who denies culture and in the words of Odysseus as well, when he ironically called treasure the vessel roughly made on the deserted island by Philoctetes (Sophocles: *Philoctetes*), as the first and the last sign of culture.

However, primitive this everyday life utensil might seem, the form of which was dictated by the cup of the hand, it could not be restricted to the limits of its practical use.

In the narrative of Diogenes Laertius (*Lives and Opinions of Eminent Philosophers*) the question is asked as a challenge and a test: who is the wisest among the sages. The cup (or tripod) is assigned the mission to find the answer to the question and this thing travels from one wise man to another in testing expectation that it will remain in the hands of one of them.

But each wise man is given a chance to choose the person more wiser than himself. The item as a sign of challenge, awaits from each of them the only right decision. When the cup (or tripod) so circulated returns back to the first chosen (Thales), it turns out that all of them are equally wise. By giving to each other the priority, they proved their wisdom.